Erasmus+

სტუ-ს პროფესორი ბიერას ინტერიერის უნივერსიტეტში

14-19 ოქტომბერს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების პროფ. ზაზა ცირამუა ტრეინინგის მიზნით ადმინისტრაციული პერსონალის მობილობით იმყოფებოდა პროექტის კოორდინატორ ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში (University of Beira Interior - UBI) (პორტუგალია), სადაც მონაწილეობა მიიღო Erasmus+ საერთაშორისო კვირეულში.

ბიერას ინტერიერის უნივერსიტეტში მობილობის პერიოდში პროფ. ცირამუას ჰქონდა ინტენსიური სამუშო შეხვედრები პორტუგალიური უნივერსიტეტის IT დეპარტამენტის თანამშრომლებთან. სამუშაო შეხვედრებზე იმსჯელეს საუნივერსიტეტო ელ. სერვისების შესახებ, რომლებიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ისეთ მოთხოვნად სერვისებზე, როგორიცაა საუნივერსიტეტო WI-FI სისტემები; უსაფრთხოებისა და საიმედოობის საკითხები საუნივერსიტეტო ქსელებში; ელექტრონული და დისტანციური სწავლება, აკადემიური და სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობა.

პორტუგალიელ კოლეგებთან ერთად განხილული იქნა ისეთ მნიშვნელოვან ქსელებთან მიერთების საკითხები, როგორიცაა:

- Pan-European Scientific-Educational Network GEANT
- Cloud open technologies of the open science of Europe Cloud EOSC
- European Data Infrastructure EDI

ქართველმა პროფესორმა, ასევე, ისაუბრა სტუ-ს სტუდენტებისა და თანამშრომლების EDUROAM საერთაშორისო როუმინგის და EDUGAIN საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზების სერვისებში ჩართვის დეტალებზე.

Erasmus+ საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში პროფ. ცირამუამ კვირეულში მონაწილე უცხოელ კოლეგებთან განიხილა მათ უნივერსიტეტებთან სტუ-ს თანამშრომლობის შესაძლებლობებიც.

ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტში მობილობის პეიოდში, მონიტორინგის მიზნით, პროფ. ზაზა ცირამუა შეხვდა სტუ-ს სტუდენტს მიხეილ ხასაიას (ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი), რომელმაც წარმატებით გაიარა ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცხადებული Erasmus+ კონკურსი და ამჟამად სწავლას აგრძელებს პორტუგალიის უნივერსიტეტში (2019-20 აკადემიური წლის საშემოდგომო სემეტსრი).

საერთაშორისო კვირეულის პროგრამა ითვალისიწნებდა სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებსაც.